# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.— ხუთშაბათი, 24 თებერვალი 1900 წ. № 1052.

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.



„მ ო ა მ ბ ე“ **1900 წ.** „ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე) — გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
| --- | --- | --- |
| 10 მანეთი | 6 მან. | 4 მან. |

სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან.

(წელიწადი მეხუთე) — გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.

გაზეთის ფასი გაგზავნით:

| 1 წლით | 6 თვით | 3 თვით | 1 თვით |
| --- | --- | --- | --- |
| 6 მანეთი | 3 მ. 50 კ. | 2 მანეთი | 75 კაპ |

სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი.

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ.

პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ.

**ვინც „მოამბე“-ს ერთის წლით გამოიწერს „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა.

გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.

თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.



ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ წაანდერძევი

## ფოტოგრაფია

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში.

(6 0—14)


## ახალი ამბავი

✦ „პრავიტ. ვესტნიკ“-ის სიტყვით, 15 თებერვალს იმპერატრიცას მარიამ თეოდორეს ასულს წარუდგა კავკასიის მთავარ-მართებელი გენ.-ადიუტანტი თავადი გ. ს. გოლიცინი.

✦ „კავკაზ“-ს გაუგონია, რომ მომავალს აპრილში ამიერ-კავკასიაში ჩამოვა იუსტიციის მინისტრი სტატს-სეკრეტარი ნ. ვ. მურავიოვი. კავკასიიდან მინისტრი გაემგზავრება კასპიის იქითა მხარეს.

✦ „კავკაზ“-ში ვკითხულობთ: 22 თებერვალს ტფილისში მეორეთ დანიშნული კრება ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა არ შესდგა, რადგანაც არ გამოცხადდა კანონიერი რიცხვიო. თუ ყოველს ხელ-ახლად დანიშნულ კრებაზე კანონიერს რიცხვს უცადეს თავადებმა და აზნაურებმა, მაშინ მათი კრება არასოდეს არ შესდგება. ამიტომაც არის ყოველგან დაწესებული, რომ მეორედ დანიშნული კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა მოვიდეს...

✦ ბორჩალოს მაზრის მომრიგებელი შუამავალი კამერ-იუნკერი ს. ს. თ. **ივ. ანდრონიკაშვილი** დაინიშნა სიღნაღის მაზრის მომრიგებელ შუამავლათ. თიონეთის მაზრის უფროსის თანაშემწე ნ. ს. თ. **აფხაზი** დაინიშნა ბორჩალოს მაზრის მომრიგებელ შუამავლად.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ზემო ავჭალის საეკკლესიო-სამრევლო სკოლასთან არსდება **სადამოს სკოლა** მოზრდილთათვის. რადგანაც მუშაობისა გამო დილაობით მოზრდილთ არა სცალიათ, აღნიშნულ სოფლის ზოგიერთ მცხოვრებთ უთხოვნიათ სკოლის გამგეობისთვის სადამობით გვასწავლეთ წერა-კითხვა და ანგარიშიო. სკოლის გამგენი დათანხმებულან და სადაც ჯერ არს თხოვნაც შეუტანიათ ნება-რთვის აღებისათვის. ჯერ-ჯერობით 40 კაცს განუცხადებია სურვილი სადამოს სკოლაში შესვლისა.

✦ **სამშაბათს, 22 თებერვალს,** მოხდა კრება რუსეთის ბაღოსნობის საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა, რომელზედაც განხილულ იქმნა კითხვა განყოფილების მიერ მონაწილეობის მიღების შესახებ **პარიზის გამოფენაში.** კრებამ, თანახმად სამიწად-მოქმედო სამინისტროს წინადადებისა, დაადგინა გამართოს პარიზის გამოფენაზე ამიერ-კავკასიის ხილეულობის განყოფილება.

განყოფილების წარმომადგენლად პარიზის გამოფენაზე იქნება ცნობილი მიკოლოგი ნ. ნ. სპეშნიოვი.

✦ შაბათს მოხდება რუსეთის ბაღოსნობის საზოგადოების კავკასიის განყოფილების სხდომა, რომელზედაც განხილული იქნება კითხვა **აბრეშუმის თესლზე** სავალდებულო კონტროლის დაწესების შესახებ.

✦ 5 მარტიდან კვირაობით ბ. კლაუსენი წაიკითხავს ბაღოსნობის საზოგადოების კავკასიის განყოფილების სადგომში **ლექციებს პრაქტიკულ ბაღოსნობის** შესახებ. ლექციების მოსმენა ყველა მსურველთ შეუძლიანთ.

✦ რუსეთის საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილებას განუზრახავს გამართოს მომავალ შემოდგომაზე ქ. ბათუმში **საბაღოსნო გამოფენა.**

✦ გასულმა ზამთარმა, როგორც უწყიან მკითხველებმა, ძალიან გააფუჭა ჩვენში **გზები,** რომელნიც უიმისოდაც უნუგეშო მდგომარეობაში იყვნენ. როგორც ისმის, კავკასიის ადმინისტრაციას ჰსურს ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს გზების შეკეთების საქმეს. თავდაპირველად გარდაწყვეტილია დაუყოვნებლივ შეუდგნენ თელავისა და ტფილისს შუაარსებულ გზატკეცილის შესწორ-შეკეთებას.

✦ გუშინ წინ, გენ.-ლეიტ. ა. ა. ფრეზეს თავმჯდომარეობით, მოხდა საზოგადო **კრება საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა.** წაკითხულ ანგარიშიდან სჩანს, რომ განყოფილებაში სულ 31 წევრი ყოფილა. 1-ლ იანვრისთვის განყოფილებას ჰქონდა 14.360 მანეთი თანხა. შემდეგ კრებამ აირჩია ახალი წევრები და ბოლოს გამგე კომიტეტი. უკანასკნელის წევრებად არჩეულ იქმნენ: ბ-ნნი ვეიდენბაუმი, შოსმანი, შიმანოვსკი და სულთან-კრიმ-გირეი.

✦ ტფილისში შესდგა აქციონერთა საზოგადოება, რომელსაც განუზრახავს ასანთის (სპიჩკის) **ფაბრიკებისა და ტყის სახერხი ქარხნების გახსნა.** ახალს საზოგადოებას ძირის თანხად 600 ათასი მანეთი ექნება.

✦ ტფილისის საბჭოს მიერ ორშაბათს სამოსწავლო კომისიაში არჩეულმა ბ-ნმა **ოსტროგორსკიმ** უარი განაცხადა კომისიის წევრობაზე.

✦ რადგანაც რკინის გზის სადგურებზე ხშირად ხდება ხოლმე სხვა-და-სხვა უბედურება და რადგანაც ამის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი ისიც ყოფილა, რომ სადგურები ცუდად არიან განათებულნი, ამიტომ გზათა სამინისტროს დაუვალებია რკინის გზების მართველობათათვის დაუყონებლივ შეუდგნენ სადგურების და მათ ახლო მდებარე ლიანდაგის განათების **გაუმჯობესობას.** უმთავრესს სადგურებზე სამინისტრო ურჩევს მმართველობას ელექტრონით განათების მოწყობას.

✦ უკანასკნელ წელს **ბაქოში** საგრძნობელი **ეკონომიური კრიზისი** იყო: ბევრი ფაბრიკა და ქარხანა დაიკეტა, სხვა-და-სხვა სამრეწველო საქმე შეჩერებული იყო, ფული გაძვირდა. ამ გარემოებამ დიდძალი მუშა უსაქმოდ და ულუკმა-პუროდ დასტოვა. ამ ჟამად, გაზეთ „კასპის“ სიტყვით, კრიზისი თანდათან ისპობა: დაკეტილი ფაბრიკა-ქარხნები ისევ იხსნებიან და ჩნდება ახალი სამრეწველო საქმეებიც. ბევრმა მუშამ ისევ იშოვა ალაგი, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია უსაქმოთაო.

✦ ხვალ დაბრუნდება ტფილისში პეტერბურგიდან ტფილისის სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე **ს. ბ. გრასსკი.**

✦ 8 თებერვლიდან 15-მდე ტფილისში **გადამდებ სენით** გამხდარა

ავად სულ 20 კაცი: წითელით—5, ქუნთრუშით—11 (ერთი მომკვდარა) და სახადით—4.

✦ თელავიდან გვწერენ: „18 თებერვალს სოფ. კონდოლში საზიზღარი მკვლელობა მოხდა. ხსენებულ სოფელში სცხოვრობდა ერთი ხნიერი დედაკაცი მ. რჩეულოვისა, რომელსაც არავინ ჰყოლია ერთი შვილის მეტი და ისიც სხვაგან ყოფილა. ამისათვის მეზობელ დედაკაცს მიუბარებია ოცი თუმანი შესანახავად. რომ ეს ფული ამასთან ყოფილა, სცოდნიათ სხვებსაც, რადგანაც არ ჰმალავდა და სუყველას ეუბნებოდა თურმე. ამიტომ ბოროტ-გამზრახველთ პარასკევს, 18 თებერვალს, ღამე შეუმტვრევიათ ფანჯარა და შესულან სახლში. როგორც ეტყობა, ჯერ ფული უთხოვნიათ და როცა არ მიუცია, უწვალებიათ ხანჯლით, რასაც ამტკიცებს ის, რომ ბევრგან აქვს თურმე ჰრილობა; ბოლოს, რაკი ფული არ გამოუჩენია, ნახევრად ყელი გამოუჭრიათ და ასე მოუკლავთ. მერმე შესდგომიან გაძარცვას და რაც კი მოუხელებიათ, ყველაფერი წაუღიათ. წაუღიათ აგრეთვე 25 მანეთი ვერცხლის ფული (სწორედ არ იციან) თვით მოკლულის საკუთრება; ხოლო ორი ათ-თუმნიანი იქვე მკვდართან ეყარაო. როგორც სჩანს, ქაღალდის ფული ვერ უცვნიათ. მეორე დღესვე მოვიდნენ გამომძიებელი, ექიმი და ბოქაული. ამავე სოფელში დაიჭირეს ოთხი კაცი, რომლებზედაც ეჭვი მიიტანეს და გადასცეს გამომძიებელს“.

✦ 21 თებერვალს, ღამე, ქუთაისში და ახლო-მახლო სოფლებში თოვლი მოსულა. საგრძნობლათ აცივდა და შიშობენ აყვავებულ ხე-ტყეს არ ავნოსო.

✦ გორიდან გვწერენ, რომ 22 და 23 თებერვალს იქ და გორის მაზრის რამდენიმე სოფელში თოვლი მოსულა. თუ სიცივემ დიდხანს გასტანეს, ბაღებს ცუდი საქმე დაემართება, რადგანაც ხეხილმა ბევრგან აყვავება იწყო.

✦ საქართველოს სამხედრო გზაზე, სადგურებ კობსა და კრესტის შუა, ქარ-ბუქსა და დიდს თოვლს გზა გაუფუჭებია. გუშინ ტფილისში რუსეთის ფოსტა არ მოსულა.

✦ „ივერიას“ კიევიდან სწერენ: „8 თებერვალს აქაურმა ქართველმა სტუდენტებმა მეორედ გამართეს ქართული საღამო. პირველი დეკემბერში გაიმართა და კარგადაც ჩაიარა. სავაჭრო საკრებულოს დარბაზი, სადაც 8 თებერვალს საღამო გაიმართა, მშვენივრად იყო მორთული. თვით კონცერტი ორის განყოფილებისაგან შესდგებოდა. მონაწილეობას იღებდნენ: ქ-ნი პასხალოვისა, ვენგეროვისა, ნევადოვსკისა, ზოტოვისა, ბ-ნნი ბოჩაროვი, სტეფანოვი, ბაგროვი, ბალაბანი, შუტმანი, და სტუდენტებისაგან შემდგარი ქართული ხორო. სხვათა შორის, ქ-ნმა ზოტოვისამ შეასრულა ქართული რომანსი „ნანა შვილო“, ბოჩაროვმა—„ნუ შემიბრალებ“ და „შენ გეტრფი მარად“, ქ-ნმა პასხალოვისამ წაიკითხა რუსულად თ. აკ. წერეთლის ლექსი „ავადმყოფი“, ბაგროვმა — ბარათაშვილის ლექსი „მერანი“, ბალაბანმა—ბარათაშვილისავე ლექსი „სულო ბოროტო“, ხორომ შეასრულა ქართული საერო სიმღერები: „ნეტავი გოგო“, „დილა“, „მგზავრული“, „სამშობლო ხევსურისა“, „იავ-ნანა“, „ჩემო ვარდო“, „კუჩხა ბედნიერი“ და სხვანი. ამას გარდა ორკესტრმა, ბ-ნ მ. ბალანჩივაძის დირიჟორობით, შეასრულა ბალანჩივაძისავე ოპერიდან ინტროდუქცია და რამდენიმე სიმღერა. ხორო ბ-ნმა ბალანჩივაძემ მოაწყო. მომღერალნი ამ საღამოს ქულაჯებსა და გურულს საერო ტანისამოსში იყვნენ გამოწყობილნი. კონცერტის შემდეგ ლეკური, ქისტური და ევროპიული ცეკვა გაიმართა.

საღამოს აუარებელი ხალხი დაესწრო. შემოსავალი 2,000 მანეთამდე იქნებოდა. საზოგადოება მეტად ნასიამოვნები და კმაყოფილი დაიშალა.

საღამოს გამართვა, ქართველ სტუდენტების თხოვნით, პროვინციაში ცნობილმა არტისტმა ქალმა პასხალოვისამ იკისრა, რომელიც სოლოვცოვის დასში მსახურებს. როგორც შევიტყეთ, ეს დასი სააღდგომოდ ტფილისში აპირობს ჩამოსვლას და წარმოდგენების გამართვას“.

✦ მომავალ კვირიდან ტფილისის სახაზინო თეატრში დაიწყება ისევ საოპერო წარმოდგენები. არტისტები თითქმის ისინივე რჩებიან, ვინც ახლად დასრულებულს სეზონში იყვნენ; ხოლო მათ მიეშველებიან გასტროლერები: გამოჩენილნი იტალიელი არტისტი-ქალნი იზაბელლა ზვიხერი და თეოდოლინა მიკუჩჩი და ცნობილნი არტისტნი საიმპერატორო თეატრებისა ბ-ნები კლემენტიევი, შალიაპინი და იაკოვლევი. რეპერტუარი თითქმის იგივეა, როგორიც გასულს სეზონს იყო, იმ განსხვავებით, რომ მომავალ სეზონს იტალიანური ოპერა ცოტათი უფრო მეტი დაიდგმება რუსულზე. ფასები მომატებულია.

✦ ჩვენ მოგვივიდა ახალი ქართული წიგნი „გასართობი, იმერული სცენები პროზად და ლექსად“, შედგენილი დ. ს. მესხის მიერ. წიგნაკი ქუთაისშია დაბეჭდილი; შეიცავს 44 გვერდს; ღირს ორ შაურად.

✦ 2 თებერვალს ტფილისის პოლიციამ შეიპყრო კატორღაში გასაგზავნი ახალციხის მცხოვრები თომა პანაზოვი, რომელმაც მოჰკლა ახალციხის დისტანციის უფროსი დავიდოვი. პანაზოვი საპატიმროში გაგზავნამდე დაამწყვდიეს ტფილისის პოლიციის მეცხრე განყოფილებაში. რამდენიმე ხნის შემდეგ შეპყრობილმა ითხოვა პატარა ხნით ეზოში გამოშვება. ისიც გაუშვეს და არავითარი ზომა არ მიიღეს თვალყურის დასაჭერად. პანაზოვმა ამით ისარგებლა და გაიქცა.

---

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

**22 თებერვალი**

**ოდესა.** მდინარე ტილიგული ადიდდა და წალეკა ქალაქ ელიზავეტგრადისა და გარშემო სოფლების ნაპირები. ზარალი დიდია.

**პენზა.** ინსარსკის მაზრის სოფელ ტოკმაკოვში, ეკკლესიის ახლო, მოუკლავთ დეკანოზი მასლოვსკი. მიზეზი—გაძარცვის სურვილი ყოფილა.

**კაპშტადტი.** ინგლისელთა მძლავრი რაზმი გაიდა კიმბერლეიდან ჩრდილოეთით. მოელიან, რომ ფორტინ-სტრიმსთან, მდინარე ვაალის ფონთან, ინგლისელებს ბრძოლა მოუხდებათ ბურებთან.

**ლონდონი.** ბრძოლის ველიდან მიღებულია შემდეგი ცნობები:

სტერკსტრომი, 22 თებერვალი. ბურებმა გუშინ თავი დაანებეს სტრომბერგს.

ოსფონტენი, 20 თებერვალი. დღეს ბურების პოზიციას, მდინარის ჩრდილოეთით მდებარეს, გენ. ფრენჩის დივიზიის არტილერიამ დაუშინა ყუმბარები.

დორდრეხტი, 22 თებერვალი. გენერალმა ბრაბანტმა დაამარცხა დღეს ბურები. მტერი ზარბაზნებითა და ფურგონებით უკან იწევს; ინგლისელები კვალში მისდევენ.

ლედი-სმიტი, 20 თებერვალი. აქ მდგომარე ჯარების ერთმა ნაწილმა განიზრახა ჩრდილოეთ ადგილების დაზვერა. იზივორტის გორაკთან ის[illegible] შეხვდა ბურებს. მოხდა ბრძოლა, მაგრამ ინგლისელთ იერიში არ მიუტანიათ მტერზე. ჯარი ისევ ლედი-სმიტში დაბრუნდა; ზარალი ცოტა იყო. იმბულვანის მთიდან ბურებმა წაიღეს ყველა თავისი ზარბაზნები.

სტერკსტრომი. გენ. გატეკრი შევიდა დღეს თავის ჯარებით სტრომბერგში. მისთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია. ბურებმა გააფუჭეს მხოლოდ რკინის გზის სადგურისკენ მიმავალი გზა, მაგრამ თვით სადგურისთვის ხელი არ უხლიათ.

**ლონდონი.** გენერალ ბრაბანტის გამარჯვების შესახებ დორდრეხტიდან შემდეგი დამატებითი ცნობები მოვიდა 21 თებერვალს: ინგლისელებს მოუკლეს 5 ან 6 კაცი; მათ წაართვეს ბურებს ერთი სიმაგრე. ბურები მამაცურად იბრძოდნენ, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდნენ უკან დაეწიათ თავისავე ზარბაზნებით. ინგლისელებმა ორივე დღეს 30 კაცი დაჰკარგეს: მათ შორის 12 თუ 13 მოკლულ იქმნა. რამდენი დაჰკარგეს ბურებმა, ჯერ არ არის ცნობაში მოყვანილი; როგორც ფიქრობენ, მათ ინგლისელებზე მეტი ზარალი უნდა მოსვლოდეს.

რობერტსი იუწყება ოსფონტენიდან, რომ ბულლერის მიერ გამოგზავნილ ცნობებით, ახალშენი ნატალი სრულიად გაუნთავისუფლებიათ ბურებს. მათ დასტოვეს მხოლოდ რამდენიმე საავადმყოფო დაჭრილებით და ავადმყოფებით; წაასხეს ყველა ჯორები სურსათ-სანოვაგის საზიდველად.

**კოლსბერგი.** ბურები ისევ იცავენ სიმაგრეებს მდ. ორანჟეს სამხრეთ ნაპირზე. დღემდის არც ერთი ხიდი არ არის დანგრეული; მატარებლები თავისუფლად მიდიან ახტრეტემგამდე, რომელიც მდებარეობს კოლსბერგისა და ნორვალსპონტონის შუა გზაზე.

**პარიზი.** სააპელაციო სასამართლომ დაამტკიცა პირველ ინსტანციის განაჩენი ბერების შესახებ, რომელთაც სასამართლომ 16 ფრანკი ჯარიმა მიუსაჯა; ძალაში დასტოვა დადგენილება კონგრეგაციის დახურვის შესახებ. ამასთანავე ჯარიმების შესახებ იხელმძღვანელა ბერანჟეს კანონით.

**კონსტანტინეპოლი.** ინგლისის გემი „Hittagonge“ დაეჯახა მარცხენა გვერდში რუსეთის გემს „კოსტრომას“, რომელსაც მგზავრები მიჰყავდა ბოსფორში და დიდათ დააზიანა იგი. მგზავრთაგან არავინ დაზარალებულა; იმათგან 28 კაცი ოდესაში გაგზავნეს გემ

„ცარით“. „კოსტრომას საშიშო არა უშავს-რა.

## 23 თებერვალი

**ლონდონი.** პალატამ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვის დანარჩენი მუხლებიც და მათ შორის, 34 მილიონ გირვანქა სტერლინგის სესხიც.

**მელენკი.** (ვლადიმირის გუბ.). 22 თებერვალს დაიწვა მელენკის ტილოს ქარხანა. ცეცხლს გადარჩა მაშინების განყოფილება და რამდენიმე ნაწილი თვით ქარხნისა. მუშაობა შეჩერებულია. უსაქმოდ დარჩა ხუთ ათასამდე მუშა. ჩამოვიდა გუბერნატორი, რომელიც ქარხნის მმართველობის, საქარხნო ინსპექციის და ადგილობრივ ადმინისტრაციის დახმარებით ცდილობს რაც შეიძლება მალე აამუშავოს ქარხანა, უსაქმობით აღელვებულს მუშებს შორის მშვიდობიანობა ჩამოაგდოს და დახმარება აღმოუჩინოს მათ, ვინც უფრო გაჭირვებულია.

**მოსკოვი.** განხილულ იქმნა საქმე სავინოვის ანდერძის გაუქმების შესახებ. ამ ანდერძით სავინოვს 250,000 მან. დაუტოვებია გაჭირვებულ გასათხოვარ ქალთათვის.

**ლონდონი.** პალატამ უარ-ჰყო ირლანდიელების საპასუხო წინადადება და ჩაის აქციზის მომატება მიიღო 223 ხმით წინააღმდეგ 48. წინადადება შესახებ თამბაქოს, სიგარის, სპირტის, სამელების და ლუდის აქციზის მომატებისა მიღებულ იქმნა ხმის უმეტესობით.

**კაპშტადტი.** პაარდებერგიდან აქ მოიყვანეს 3600 დატყვევებული ბური.

**დორდრეხტი.** გენ. ბრაბანტის დივიზიამ ხელში ჩაიგდო ბურების რამდენიმე ფურგონი. მათ შორის ერთი ანრი მარტინის სისტემის თოფებით იყო დატვირთული; გარდა ამისა, მრავალი საქონელი და ცხვარი გარეკეს.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

### საკალენდრო ცნობები

**ხუთშაბათი,** 24 თებერვალი; ახალი სტილით 8 მარტი. წლის დასრულებამდე დარჩა 311 დღე. მთვარის მე-8 დღე. მეოთხე დღე დიდი მარხვისა. ხსენება წმ წინამორბედის იოანესი.

**პარასკევი,** 25 თებერვალი; ახალი სტილით 9 მარტი. წლის დასრულებამდე დარჩა 310 დღე. მთვარის მე-9 დღე. დიდი მარხვის მეხუთე დღე. ხსენება წმ. ტარასიისა, კონსტანტინეპოლის მთავარ ეპისკოპოსისა.

შემდეგი უქმი—25 მარტს—ხარება.

## ნიხრი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 | გ. | —11 | კ. |
| სუკი . . . . | 1 | » | —15 | კ. |
| » ცხვრისა . | » | » | —11 | კ. |
| » კამეჩისა. . | » | » | — 5 | კ. |
| » ღორისა. . | » | » | — 8 | კ. |
| » ღორის ზარკალი სალორეთი . | 1 | » | —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | $3^1/_2$ | » |
| » » | III | » | » | 3 | » |
| იგივე თორნისა | I | » | » | 5 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | $3^1/_2$ | » |
| ლავაში ჯგ. მამ. | I | » | » | 6 | » |
| » » | II | » | » | 4 | » |

### ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: კოკზალზე

| ხორბალი საუკ. | ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — | |
| ქერი . . . . . . | 1 | — | 88 | — | 85 |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60 | — | — |
| კარტოფილი . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი . . . . . . | 1 | — | 50 | — | — |
| თივა . . . . . . | 1 | — | 60 | — | — |
| ბზე . . . . . . | 1 | — | 28 | — | — |

შუშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 80 კაპიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ 8 მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი მუსაბმელი,—კამეჩი —მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 | მ. 25 კ. | № 4—7 | » 25 » |
| № 1—8 | » 50 » | № 5—7 | » — » |
| № 2—8 | » — » | № 6—6 | » 75 » |
| № 3—7 | » 50 » | № 7—6 | » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ. შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ. „ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი — ადგილობრივი — 3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ასიფოვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა,** კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა,** კორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო,** ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასო, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) კორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქაანცისა.

დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

**სახალხო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ.; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ., ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. საღ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 12 ს. 20 წ., ტფილისში მოდის საღამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

**საფოსტო მატარებელი № 4** ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ., ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 5 ს. 02 წ., მეორე—დღეს 12 ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მიდის—პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, მეორე—2 ს. 49 წ. დღ. და მესამე—9 ს. 49 წ. საღ.

**ფოთიდან** სამტრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ 9 ს. 48 წ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

**რიონიდგან** ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ., საღამოს 6 ს. 30 წ. დილის 8 ს. 45 წ. და 10 საათ.

**ქუთაისიდგან** რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ. დღისით 12 ს. 30 წ., 3 ს. 50 წ., და 5 ს. 30 წ.,

**შორაპნიდან** ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ., მეორე 5 ს. 15 წ. დღისით.

**ჭიათურაში** მიდის პირველი—დილის 9 ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

**ჭიათურიდგან** შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 სე 40 წ. დღისა, მეორე—საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის—პირველი დღისით 4 ს. 31 წ. მეორე—ღამის 2 ს. 05 წ.

**მიხაილოვიდგან** სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ., მეორე დილის 6 ს. 25 წ., მესამე,—დღის 1 ს. 5 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლება 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**სურამიდგან** მიხაილოვში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5 ს. 08 წ., მეორე დილის 11 ს. 48 წ., მესამე დღის 4 ს. 40 წ., მეოთხე—საღამოს 10 ს. 50 წ.

მიხაილოვში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**ქუთაისიდგან** ტყიბულში გადის ღამის 6 ს. 50 წ. ტყიბულაში ჩადის 10 ს. დილისა.

ტფილისიდგან ქუთაისში გადის დილით 1 ს. 30 წ., ქუთაისში მიდის 6 ს. 30 წ. დილით.

ომნიბუსების მიმოსვლა თბილისისა და ვლადიკავკასის შორის დაწყებული 1 ნოემბერს 1899 წ. ვიდრე 1 მაისამდის 1900 წ.

თბილისიდგან ხუთსაჯდომიანი კარეტა გადის დილის 8 საათზე (მლეთში ღამის თევით) და ვლადიკავკასში ჩადის საღამოს 7 ს. 30 წ. და ექვს-საჯდომიანი ომნიბუსი გადის ნაშუადღევის 3 საათზე და ვლადიკავკასში ჩადის მეორე დღეს საღამოს 5 ს. 35 წ.

# განცხადებანი


წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ისყიდება ახალი წიგნები:

ა) Царица Тамара, ფ. 50 კ.

გ) Грузинскія обители внѣ Грузіи, ფ. 25 კ.

დ) Исторія Грузинской церкви, ფ. 40 კ.

შინაარსი 1-ლის წიგნისა: ა) მოკლე განხილვა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა თამარის ეპოქამდე, ბ) რუს-ქართველთა დამოკიდებულება, გ) თამარ მეფე და დ) პალეოგრაფიული ნიმუშები: 1) წერის ნიმუშები მე-VII, VIII–IX და X საუკ., 2) ხელწერილობა თამარისა, მისის მამის გიორგისა, ქმრის დავითისა, შვილის გიორგი ლაშასი, შოთასი (რუსთაველისა?), კათალიკოზის თეოდორესი, მანდატურთ უხუცესის ჭიაბერისა და სხ. წიგნის დასაწყისს დაბეჭდილია თამარ მეფის სურათ-ხატი. 2—1

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: | |
| I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვალტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსის ბიოგრაფია სურათით | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის პ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრმე ზილავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

საუკეთესოდ მოწყობილი

## სტამბა

წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა

იღებს ყოველგვარ

## სასტამბო საქმეებს

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში

## ისტორიული ნარკვევი

ანუ

**ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის**

შედგენილი

ალექსანდრე ჭყონიასაგან

მოწონებული კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისაგან საშუალო სასწავლებლების ბიბლიოთეკებისათვის

ფასი 1 მ. 50 კაპ.

ისყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

დაიბეჭდა და ისყიდება

წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში

ახალი ქართული წიგნი

## სიტყვიერების თეორია

სალიტერატურო ნიმუშების კრებული ანუ ქრისტომატია

წიგნი შედგენილია

ალავერდის ეპისკოპოზის კირიონისა და გრ. ყიფშიძის-მიერ

ფასი 1 მანეთი

ვინც ათს ცალზე ნაკლებს არ იყიდის, წიგნი დაეთმობა 80 კ.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფას-დადებით შეუძლიათ დაიბარონ ამ ადრესით: Тифлисъ. Книжный магазинъ Общества грамотности.

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | |
|---|---|
| ნაწილი I საერო კრება | 60 კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 » |
| ნაწილი II სამშობლოს განსაცდელი | 60 » |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 » |
| ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა და ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტი | 1 მ. 20 » |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 » |
| ბრწყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | 30 » |
| იუდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | 30 » |

პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება



გამომც. გ. ჯუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Февраля, 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.